პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 30 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

№ 21 (1016)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მომზადებული შევხვდეთ ამ დღეს.

რამოდენიმე კვირის შემდეგ წითელი არმია იდღესასწაულებს თავის არსებობის 8 წლის თავს. 8 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა მუდმივი წითელი არმიის ჩამოყალიბებას. სწორედ 8 წლის წინად პირველად გამოიცა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომ მოწყობილიყო ახალი არმია „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ სახელწოდებით.

როდესაც დღეს ჩვენ ვეხებით წითელი არმიის ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს, აუცილებლად საჭირო იქნება მოვიგონოთ მისი წარსული, მუშების შეიარაღებული ძალების ბრძოლა თვითმპყრობელობისა და მოღალატე სოციალისტების წინააღმდეგ და სხ.

ჯერ კიდევ არ იყო გამოსული დადგენილება, როდესაც შეიარაღებული მუშათა კლასი მშრომელ გლეხობასთან ერთად იბრძოდენ მტრების წინააღმდეგ, რომელთაც მაშინ ეწოდებოდათ წითელი გვარდიელები. ამათმა 1917 წელში დაამხეს მეფის თვითმპყრობელობა და შემდეგ კი მოახდინეს ოქტომბრის რევოლიუცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ რუსეთში იწყება სამოქალაქო ომი. ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ ილაშქრებენ, როგორც შინაური, ისე გარეშე მტრები, რომლებიც ლამობენ ოქტომბრის მონაპოვართა დამარცხებას და თავიანთი ბატონობის კვლავ განახლებას.

ასეთი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ჩვენთვის საჭირო შეიქნა ძლიერი არმიის შედგენა. როგორც ვსთქვით, მართლაც 1918 წელში თებერვლის 23-ს გამოიცა დადგენილება, რომ შექმნილიყო მუდმივი ჯარი, რადგან ოქტომბრის რევოლიუციას ბრძოლა გამოუცხადეს კარგად შეიარაღებულმა ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებმა და მსოფლიო კაპიტალისტებმა. ამის შემდეგ ჩვენი წითელი არმია, რომელიც შესდგებოდა მუშებისა და გლეხების საუკეთესო შვილებისაგან, ერთგულად იბრძოდა ყველა ფრონტებზე და ზედიზედ ამარცხებდა შემოსეულებს—მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის დაუძინებელ მტრებს.

რამოდენიმე წლის ბრძოლების შემდეგ მტრები დამარცხდენ. წითელი არმია ამის შემდეგ შეუდგა მშვიდობიან აღმშენებლობას და დღითი-დღე ამტკიცებს და ამაგრებს თავის რიგებს სამხედრო ტეხნიკის განვითარებით, პოლიტიკური აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობით.

ამ დღესასწაულის სათანადოთ ჩატარება ამ წელში ჩვენთვის ხდება სრულიად განსაკუთრებულ პირობებში. ჩვენი წითელი არმია ამ ჟამად შევსებულია ახალწვეულებით, რომლებიც ამ ჟამად სწავლობენ წითელი არმიის ისტორიას.

ამ დღისათვის მზადება ჩვენს ნაწილებში აქედანვე უნდა დაიწყონ. პოლიტხელებმა საუბრების გატარების დროს ფართოდ უნდა აუხსნან წითელარმიელებს წითელი არმიის ბრძოლის და აღმშენებლობის ისტორია და მისი აუცილებლობა ჩვენი რესპუბლიკებისათვის, სანამ ჯერ კიდევ ვიმყოფებით კაპიტალისტურ რკალში.

კომუჯრედებმა, კლუბებმა, ბიბლიოთეკებმა და ლენინის კუთხეებმა აქედანვე უნდა გამოიმუშავონ გასატარებელი მუშაობის გეგმა და ღირსეულად ჩაატარონ ეს კამპანია ჩვენს ნაწილებში.

წითელარმიელებო! კარგად შეისწავლეთ წითელი არმიის ბრძოლისა და ჩამოყალიბების ისტორია, კარგათ შეისწავლეთ წითელარმიელების ბრძოლა მუშებისა და გლეხების მტრების წინააღმდეგ წარმოებული წარსულში და თუ საჭიროებამ მოითხოვა მუდამ მზად იყავით, რომ ერთგულად დაიცვათ ოქტომბრის მონაპოვარი.

## „ჩან-ძო-ლინი და საბჭოთა კავშირი“.

(„პრავდას“ წერილიდან)

### „ჩვენი მტკიცე სურვილია მშვიდობიანობა, მშვიდობიანობა და კიდევ მშვიდობიანობა.

ამ სათაურით გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულია მოწინავე, რომელიც ეხება ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზე მომხდარ განხეთქილებას. წერილში ნათქვამია:

„ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის უფროს ივანოვისა და სხვა ამხანაგების გათავისუფლებამ შექმნა ახალი მდგომარეობა.

განხეთქილების სიმწვავემ გაიარა.

მოლაპარაკება სხვა მხრივ მობრუნდა, ვინაიდან ძირითადი მოთხოვნილება ასრულებულ იქნა.

ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლები უსათუოდ შესძლებენ განხეთქილების მშვიდობიანად და სასარგებლოდ მოგვარებას.

ეხლა უკვე ზედმეტია იმ ზომების მთელი რიგი, რომლებიც ნაჩვენები იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისრის ჩიჩერინის ნოტაში ჩინეთის მთავრობისადმი. შეგვიძლია სრულიად დაიმედებული ვიყვეთ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ჩან-ძო-ლინს შორის მიღწეულ იქნება სრული შეთანხმება.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც სარგებლობს ჩინეთის ხალხის დიდი უმეტესობის სიყვარულით, წინანდებურად დაიცავს და გამოექომაგება ჩინეთის სრულუფლებიანობის პრინციპს. სწორედ იმიტომ გასცემს ჩვენი მთავრობა ღირსეულ პასუხს კონტრ-რევოლიუციას, რომელიც მოინდომებს რევოლიუციის უფლებების შელახვას.

საზღვარგარეთელ მადა გახსნილ იმპერიალისტებმა მშვენივრად იციან, რომ, თუ ისინი შესძლებენ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზიდან საბჭოთა კავშირის მოშორებას, მის გადაგდებას თავისი პოზიციიდან; თუ რომ ამ გზაზე ფეხს მოიკიდებს და მოკალათდება ერთმპყრობელი კონტრ-რევოლიუცია—სულერთია ვინც არ უნდა იყოს: რუსეთის თეთრგვარდიელები, თუ იაპონიის იმპერიალისტები და სხვა,—ეს იქნება სასიკვდილო ლახვარი ჩინეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეები და ჩინეთის ხალხის ფართე მასები, უეჭველია, მეტად გახარებული არიან იმით, რომ მათ თავიდან აიშორეს მწვავე განხეთქილების საშიშროება.

ჩვენი ღრმა და მტკიცე სურვილია მშვიდობიანობა, მშვიდობიანობა და კიდევ მშვიდობიანობა“.

# ახალი რადიო ამბები

## მდგომარეობა ჩინეთში.

### ჩან-ძო-ლინი წინ მიიწევს.

ჩან-ძო-ლინის მოწინავე რაზმებმა, რამოდენიმე მცირე შეტაკების შემდეგ მიაღწია მდინარე ლვანხოს.

ჩან-ძო-ლინის მთავარი ძალები მოთავსებულია შანხაიგუანისა და ინჩოუს რაიონში.

უ-პეი-ფუს ჯარები დაუბრკოლებლივ მიიწევენ ხონანისკენ.

ხანკოუსა და პეკინს შორის რკინის გზის მოძრაობა შეწყვეტილია.

## ჩინეთის მშრომელთა დემონსტრაცია.

ჩინეთ—აღმოსავლეთის რკინის გზაზე მომხდარ განხეთქილებასთან დაკავშირებით გაიმართა ჩინეთის მშრომელთა დიდი დემონსტრაცია.

4 ათასამდე კაცი გაემართა ჩინეთის საკონსულოსაკენ. დემონსტრანტებმა გაუგზავნეს საკონსულოს პროტესტის რეზოლიუცია.

## კიდევ ერთი ნაბიჯი განხეთქილების მოგვარებისაკენ.

საბჭოთა კავშირის კონსულ კრაკოვეცკისთან მოლაპარაკების შემდეგ ჩან-ძო-ლინმა გასცა განკარგულება პროფკავშირთა მდგომარეობის აღდგენის შესახებ.

ამით მან კიდევ ერთი ნაბიჯი გადასდგა განხეთქილების მოგვარებისკენ ჩინეთ-აღმოსავლეთ რკინის გზაზე.

## ჩინეთის საგარეო მინისტრის დეპეშა ჩიჩერინისადმი

ჩიჩერინმა მიიღო ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „ჩინეთის სახელმწიფო მმართველმა თქვენი ნოტის მიღებისთანავე გასცა განკარგულება რკინის გზაზე განხეთქილების მოგვარების შესახებ“. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან გზა ორივე სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურება, გზის მოსამსახურეები უნდა გაიმსჭვალონ ურთიერთ გულწრფელობისა და სამართლიანობის სულით, რათა შეთანხმებულ იქნას გადაჭრილი ყველა საკითხები.

## პროფინტერნის მიმართვა ყველა ქვეყნების მუშებისადმი

პროფინტერნმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშებსა და მუშა ქალებს შემდეგი დეპეშით:

„24 იანვარს უნდა შემდგარიყო სამხრეთ სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ყრილობა, მაგრამ ყრილობის წინა დღით სამხრეთ სლავიის მთავრობამ მთავარი ხელმძღვანელები და მუშათა კლასის 350 თავდადებული მოღვაწე ციხეში გამოამწყვდია.

## ამიერკავკასიის ცაკის მეორე სესია

### სომხეთის მთავრობის მოხსენება.

— შინა მრეწველობის კოოპერაცია—განაგრძობს ამხ. ამბარცუმიანი—დიდი მნიშვნელობა ექნება სომხეთის ღარიბ მრეწველობისთვის. მომხმარებელი კოოპერაცია საგრძნობლად ძლიერდება.

სომხეთში წყლის დიდი ენერგიაა და დიდ სარგებლობას მოიტანს ის, თუ სათანადოდ გამოვიყენებთ მორწყვისა და ელექტროფიკაციის საქმეში. ამ ჟამად გათხრილია სამი დიდი არხი: შირაქის, ეჯიულიასის და ეჩმიაძინის. ითხრება სამი ახალი არხი.

რაც შეეხება მოსავლიანობას სომხეთს არ ჰყოფნის თავისი პური. ამიტომ მისი მეურნეობის მდგომარეობა, ბამბის მოყვანა და სხვა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გეგმაშეწონილად შემოდის მას სურსათის მარაგი.

მსხვილი მრეწველობის შექმნა აქ დაწყებულ იქნა მხოლოდ საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების შემდეგ.

სასკოლო ქსელი ორჯერ გაიზარდა ომამდე არსებულთან შედარებით.

— მე ვფიქრობ—ამბობს დასასრულ ამხ. ამბარცუმიანი,—რომ ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო.

სესიამ მოიწონა სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობა.

საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმა სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### ამხ. ლუკაშინის მოხსენება.

### სასოფლო მეურნეობა ძლიერდება.

27 იანვარს საღამოს სხდომაზე ამიერკავკასიის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ლუკაშინი. ის აღნიშნავს საერთოდ მეურნეობის ზრდას, რომლის მდგომარეობა ახლოსაა ომამდე არსებულ დონესთან. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები მებამბეობის, მეთამბაქოობის, მესაქონლეობისა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებიდან და გადადის მრეწველობის მდგომარეობაზე.

მრეწველობის დარგში ამხ. ლუკაშინი აღნიშნავს მიღწევებსა და სიძნელეებს და დასასრულ ამბობს: „ჩვენი პოლიტიკა მიმართული უნდა იქნას ისე, რომ ჩვენი ეკონომიკა მჭიდროდ იქნას დაკავშირებული სოფლის მოთხოვნილებასთან. ჩვენ საშვალება გვაქვს ავამაღლოთ ჩვენი ქალაქის მრეწველობის წონა კავშირის მრეწველობის ხარჯზე იმ მიზნით, რათა უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ ამიერკავკასიის ქალაქი სოფელთან.

### კამათი მოხსენების გამო.

28 იანვარს, დილის სხდომაზე იმართება კამათი ამხანაგ ლუკაშინის მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობას ღებულობს მთელი რიგი ორატორებისა, რის შემდეგ ამხ. ლუკაშინი ამბობს საბოლოო სიტყვას, რასაც მხურვალე ტაშით ხვდება დარბაზი.

სესია ირჩევს კომისიას 11 კაცისაგან ამხ. ლუკაშინის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის გეგმის გამოსამუშავებლად.

# მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პირველი პარტკონფერენცია

## ამხ. ბლუაშვილის მოხსენების გაგრძელება.

მომავალში ამ მიმართულებით გაღრმავებულ უნდა იქნას მუშაობა, რომ არ დარჩეს არც ერთი პარტიული ცვალებად წითელი არმიელი, რომ არ ირიცხებოდეს ძირედის კომუჯრედში. უნდა გვახსოვდეს რომ, რაც უფრო მეტი ცვალებადელი იქნება ჩვენს უჯრედებში, მით უფრო უზრუნველყოფილი ვიქნებით შეკრებ ს ჩატარებით და მტკიცე კავშირი გვექნება ცვალებად წითელ არმიელებსა და ადგ. მცხოვრებლებთან. შეძლებისდაგვარად ცვალებად პარტ-შემადგენლობას უნდა ეძლეოდეს პარტიული დავალებები, რომლებიც შეეხება ცვალებადელებში მუშაობას და მათთან დაახლოების საქმეს.

ერთი ძთავარი ამოცანა, რომელიც წამოჭრილია დღეს პარტორგანიზაციის წინაშე—ეს არის თვალყურის დევნება იმაზე, თუ როგორ იზრდება ცვალებადი პარტიული შემადგენლობა. ამისათვის საჭიროა ჩვენი უჯრედები დაუკავშირდენ სათანადო პარტიულ კომიტეტებს.

**მუშაობა უპარტიო ცვალებადთა შორის.**

ძირითადი ჩანასახი უპარტიოთა შორის სამუშაოდ—ეს არის რწმუნებულთა ინსტიტუტი, რომელმაც საესებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს. არ უნდა დარჩეს არც ერთი თემი და ფაბრიკა-ქარხანა, რომ არ იყოს გამოყოფილი რწმუნებული. მხოლოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რწმუნებულების ხარისხობრივ შერჩევის საკითხს. უნდა გვახსოვდეს, რომ რწმუნებული ეს არის სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი თემში, ქარხანაში და ფაბრიკაში.

რწმუნებულების ნაყოფიერი მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი კავშირი არსებობს პოლიტხელსა და რწმუნებულს შორის. პოლიტხელი უნდა აწვდიდეს რწმუნებულს სამუშაო გეგმას, დირექტივებს ამხ-გური წერილების სახით და სხვა. რწმუნებულების თათბირები უნდა ხდებოდეს ყოველ სამ თვეში ერთჯერ.

მუშაობის მთავარ ფორმად ცვალებადელებში უნდა ჩაითვალოს მათი კრებები, რომელსაც უნდა მიეცეს გეგმიური და ჩამოყალიბებული ხასიათი. ამ კრებებზე უმთავრესად უნდა ისმებოდეს ადგ. საჭირ-ბოროტო საკითხები.

**1903 წელში დაბადებულთა წინასწარი მზადებ სათვის შეკრება.**

წინასწარი მუშაობა, რომელიც წინ უნდა მიუძღოდეს შეკრებას—ეს არის ცვალებად პარტშემადგენლობის და საერთო ცვალებადელების სწორი აღრიცხვა და მათი შესწავლა, ცვალებადელების კრებების ჩატარება, რწმუნებულთა თათბირები და წინასწარი სამუშაო გეგმის შედგენა.

საერთო შეკრების გამოცდილება უკვე აქვთ ჩვენს ნაწილებს. მომავალი შეკრებისათვის, რომ გამოსწორდეს ნაკლი, ამიტომ უპირველეს ყოვლისა შესწავლილ უნდა იქნას წარსულში დაშვებული შეცდომები.

**კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.**

ტერიტორიალური აღმშენებლობის წინსვლა სრულიად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი კავშირი არსებობს სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ჩვენს ნაწილებს შორის. აქნობამდე დაშვებული შეცდომები ამ დარგში უნდა გამოსწორდეს ახლო მომავალში.

## ამხ. პატარაიას თანამოხსენება.

### ა. ლ. კ. კ. მუშაობის მორიგი ამოცანები.

იმავე სხდომაზე ა. ლ' კ. კ. მუშაობის მორიგ ამოცანებზე მოხსენებას აკეთებს **ამხ. პატარაია.** კომკავშირის ორგანიზაციის, ამბობს მომხსენებელი, ჩვენს დივიზიაში აქვს მთელი რიგი მიღწევები. კომკავშირის ორგანიზაციამ დივიზიის ნაწილებში მიიღო თავისი ორგანიზაციული სახე და დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. კომკავშირის ავტორიტეტი ამაღლდა უპარტიო წითელ არმიელთა შორის, რამაც გამოიწვია უკანასკნელების ლტოლვა კომკავშირისაკენ. კომკავშირელებს ამ ჟამად საპატიო ადგილი უკავიათ პარტგანათლების დარგში.



ამხ. პ-ტარ-ია.

დღითი-დღე გაუმჯობესდა ჩვენი კავშირიც სამოქალაქო ორგანიზაციებთანაც.

ის ნაკლი, რომელიც არის ჩვენს მუშაობაში და 1903 წელში დაბადებულ კომკავშირელთა დიდი რიცხვი დივიზიის უყენებს დიდ ამოცანებს კომკავშირის მუშაობის დარგში.

**კავშირის ზრდა.**

წითელ არმიელთა საერთო პოლიტიკურ აქტიობის ზრდასთან ერთად იზრდება მათი ლტოლვა კომკავშირისაკენ. ასეთი ლტოლვის შედეგად აუცილებლად უნდა მივიღოთ მშრომელი ახალგაზრდობის კომკავშირის ორგანიზაციებში 100 პროც. ჩაბმა რ. ა. ლ. კ. კ. მე-6 ყრილობის დადგენილების თანახმად.

ის გარემოება, რომ ჩვენი ჯარის შემადგენლობაში უმრავლესობას გლეხები შეადგენენ, კომკავშირის ზრდაც აუცილებლად იქნება მათ ხარჯზე, რამაც არავითარი გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს ჩვენს ნაწილებში. მხოლოდ საჭირო იქნება, რომ ნაწილებმა შეინარჩუნონ კავშირის ზრდის ნორმა და სწორი მიმართულება.

**შინა-კავშირული მუშაობა.**

კომკავშირის ორგანიზაციების აქტივობამ დღეს წითელ არმიაში საკმაო ყურადღება მიიპყრო. საჭიროა ამ აქტივობის სწორ კალაპოტში ჩაყენება. ამ მხრივ კი შინა-კავშირულ მუშაობას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს აქტივობის მიმართვას. ნაწილებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯგუფების მუშაობის გაშინაარსიანებას. კომკავშირის კრებებზე გამოტანილი დღის წესრიგები უნდა ემსახურებოდეს კომკავშირის ორგანიზაციების ბოლშევიკურ-კომკავშირულ აღზრდას. ლოზუნგი „არც ერთი წევრი კომკავშირისა და პარტ-მოვალეობის გარეშე" შესრულებულ უნდა იქნას სავსებით.

**აქტივი და მისი მომზადება.**

კომკავშირის რიცხობრივი ზრდა მოითხოვს აქტივის გაზრდასაც. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ლეგიონისა და ჯგუფს ორგანიზატორების ხარისხობრივ შერჩევას. ორგანიზატორები აუცილებლად უნდა ირჩეოდეს. ჩატარებულ მუშაობის ჯამის გასაცნობლად და მომავალი მუშაობის გეგმის გამოსამუშავებლად საჭირო არის ეწყობოდეს ლეგიონებში კომკავშირის წევრთა შორის მომუშავე ჯგუფის ორგანიზატორების თათბირი ყოველ ექვს თვეში ერთჯერ.

თათბირები უნდა ეწყობოდეს აგრეთვე წინასწარი სამთვიანი შეკრების წინ. წელიწადში ერთხელ კი საჭირო იქნება მოეწყოს ლეგორგანიზატორების თათბირი დივიზიის მასშტაბში. ამ თათბირზე მიწვეულ უნდა იქნან კომკავშირის აქტიური წევრები და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**სამხედრო სკოლები.**

კ. კ. ორგანიზაციები სამხედრო მეთაურთა და სამხედრო პოლიტიკურ სკოლებში თვალსაჩინო ადგილს იჭერს თავისი მუშაობით და პარტ-მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებით. მიღებულ უნდა იქნეს ყოველივე ზომები, რომ კომკავშირელ კურსანტებიდან გამომუშავდენ კარგად მომზადებულ მეთაურები და პოლიტმომუშავენი.

**ტერ-შეკრება.**

1925 წელში ჩატარებულმა პირველმა ტერ-შეკრებამ გამოამჟღავნა მთელი რიგი შეცდომებისა კომკავშირის მუშაობაში. ცვალებად კომკავშირელები ვერ დაუხვდენ შეკრებას კარგად მომზადებულები. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ კ. კ. მუშაობის სტრუქტურაზე წითელ ჯარში. ამ ჟამადაც ცვალებად კომკავშირელების კავშირი თავიანთ ნაწილთან—სუსტია. ამისათვის მომავალში საჭირო სამთვიან წინასწარ შეკრებამდე რამოდენიმე დღით ადრე გამოწვეულ იქნან ცვალებადი კომკავშირელები და წინასწარ ჩამოყალიბდეს ყველა ის დაწყებითი მუშაობა, რომელიც შემდეგში საჭირო იქნება გატარება ცვალებადელთა შორის.

სამოქალაქო ორგანიზაციებმა თავიანთ მხრით უნდა შეადგინონ სწორი სიები ცვალებად კომკავშირელებისა და აწარმოონ მათში აგიტაცია-პროპაგანდა წითელი ჯარის აღმშენებლობაზედ.

**წვევამდელთა შორის მუშაობა.**

წვევამდელთა უკანასკნელი შეკრების დროს ჩვენ უფრო მეტი მიღწევები მივიღეთ, ვინემ გასულ წელში გაწვევის დროს. მხოლოდ ამით იმის თქმა არ შეიძლება, თითქოს ამ უკანასკნელად ამ მუშაობაში არ ყოფილიყოს ნაკლი.

მომავალში ამას სათანადო ორგანიზაციებისაგან უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და წვრთებს თავის დროზე მისცენ კარგად მომზადებული პოლიტ-ხელმძღვანელები, დიდი ყურადღება მიაქციონ წვრთის კ. კ. ჯგუფებსა და საერთო პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას და სხვა.

**კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან.**

ჩვენი კავშირი ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაუმჯობესდა, მაგრამ სამწუხაროდ აქა-იქ ეს კავშირი გამოიხატება მხოლოდ ფორმალურ ურთი-ერთ წარმომადგენლობაში. მომავალში ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

**პარტ განათლება.**

დღეს, როდესაც კომკავშირის ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა წითელ არმიაში, ჩვენს წინაშე დგება საკითხები კომკავშირელთა მომზადების შესახებ. ამის გამო სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირელთა მომზადების დონის ამაღლებას.

ყოველივე ამას ჩვენ მივაღწევთ, თუ აქტიურ კომკავშირელებს ჩავაბამთ ნაწილებში არსებულ პირველი და მეორე საფეხურის პარტ სკოლების მუშაობაში. იმ კომკავშირელებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ პარტ-სკოლებში მისაღებ პირობებს, დაარსებულ უნდა იქნას საკავშირო სკოლები.

## აგიტ-პროპმუშაობის მორიგი ამოცანები.

### ამხ. ადამაძის მოხსენება

25 იანვრის სად.სხდომაზე მოხსენებით გამოდის ამხ. ადამაძე.

— საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღორძინებასთან ერთად—ამბობს მომხსენებელი—მუშათა კლასში და გლეხობაში იღვიძებს აქტივობა და სახელმწიფო სამეურნეო აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღების სურვილი.

შექმნილი მდგომარეობა და პარტიის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვს ჩვენგან მუშაობის უფრო მეტად გაძლიერებას წითელი არმიის რიგებშიც.

თუ ახალი პირობები და,მასთან დაკავშირებით, ახალი ამოცანები მოითხოვენ სათანადო ღონისძიებებსა და მეთოდებს წითელი არმიის მუშაობაში საერთოდ, მით უმეტეს რთულდება მუშაობა ტერ-ნაწილებში, სადაც მთავარი ყურადღება ექცევა ცვალებადელთა შორის მუშაობას. ამიტომ ჩვენი პოლიტ და სამხედრო მომუშავეთა მხრივ საჭიროა მეტი დაკვირვებით შესწავლა და ცხოვრებაში გატარება იმ ღონისძიებათა, რომელსაც ისახავს პარტია სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მიმართ.

მთელი პოლიტ-კულტ-აღმზრდელობითი მუშაობა წითელი არმიის რიგებში დღემდის პოლიტმომუშავეთა საშუალებით სწარმოებდა. დღეს ჩვენი ამოცანაა—ჩავაბათ ამ მუშაობაში მეთაურთა შემადგენლობაც. ეს ამოცანა კი მოითხოვს გაძლიერებულ მუშაობას უფ-შემადგენლობის განვითარების საქმეში.

წითელი არმიის რიგებში ანტი-რელიგიურ პროპაგანდას საჭიროა. სხვა ხასიათი მიეცეს,ვინემ დღემდის ჰქონდა. აქ საჭიროა არა ცარიელი სიტყვები და კომიკური ხასიათის პიესები, არამედ წითელ არმიელს უნდა მიეცეს ერთგვარი ცოდნა ბუნებისმეტყველებიდან, საზოგადო მეცნიერებიდან და სხვა. ამ დარგში პროპაგანდის წარმოებაში განსაკუთრებით საჭიროა დიდი სიფრთხილე ეროვნულ უმცირესობათა შორის, რათა შელახულ არ იქნას მათი ზნე-ჩვეულებანი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმოადგენს ძირითად პირობას წითელ არმიელთა აღზრდის საქმეში. ამ საქმეს აფერხებს მასწავლებელთა სიმცირე. საჭიროა ძალების დახმარება სამოქალაქო ორგანიზაციებიდან.

ტერაღმშენებლობის განვითარება მრავალ მხრივ დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ რამდენად შეითვისა მოსახლეობამ ამ სისტემის უპირატესობანი. ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი შეუძლია ითამაშოს სამხედრო კუთხეთა ქსელის გაშლასა და გაზ. „წითელი არმიელი"-ს გავრცელებას, როგორც ქოხ-სამკითხველოებში, ისე მუშათა კლუბებში.

**სასკოლო დარგის ამოცანები.**

წერა-კითხვის ცოდნა მთავარი საფუძველია, რომელზედაც შენდება ცოდნათა შემდეგი განვითარება. რადგანაც არმიის პირობებში სწავლების მეთოდების გამოყენება გვიხდება მოზრდილთა ფსიქოლოგიასთან, ამიტომ მასწავლებელთათვის სავალდებულო უნდა გახდეს შესწავლა და შეთვისება საზმო და ამერიკული მეთოდების.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს პოლიტმეცადინეობის მთელ სისტემას. სკოლის მასწავლებელი უნდა იყოს იმავ დროს პოლიტხელთა მეთოდიური ხელმძღვანელი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპლექსური სისტემის ცხოვრებაში გატარებას.

გამოცდილებათა აღრიცხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში, ამიტომ პოლიტხელის მიერ დღიურის წარმოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მხრივ დიდ სამსახურს გაგვიწევს აგრეთვე გაზ. „წითელ არმიელში" მეთოდიურ საკითხების გაშუქება.

უფ-პოლიტ-შემადგენლობის თვითგანვითარებითი მუშაობა უნდა ტარდებოდეს პარტორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით. აუცილებლობას წარმოადგენს ამ მუშაობის გაძლიერება და მიღებულ შედეგებისა და გამოცდილების სწორი აღრიცხვა.

**პარტგანათლება.**

ჩვენი დივიზიის ნაწილების დაქსაქსვის, სხვა და სხვა ადგილას მოთავსების გამო ჩვენ გვიძნელდება მუშაობა მთლიანი წესით პარტ-ორგანიზაციის აღზრდა-განვითარების საქმეში. მუშაობას უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენი კადრის პარტორგანიზაცია ვალდებულია სწავლობდეს პარტიის ყოველ ახალ ამოცანებსაც.

განსაკუთრებული პირობები გვიკარნახებენ პარტგანათლების წარმოების მიზნით გავაყენოთ სამაზრო კომიტეტებთან არსებული პოლიტსკოლები.

არა ნაკლებ საყურადღებოა ჩვენს მუშაობაში ცვალებად პარტშემადგენლობის მეცადინეობა. პარტსკოლების სიმცირე არ მოგვცემს საშუალებას, რომ ის ჩავითრიოთ ჩვენი ნაწილების სკოლებში. ამიტომ საჭიროა მათი ჩაბმა სამოქალაქო პოლიტსკოლებში და სათანადო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევა.

პარტსკოლების მეცადინეობაში საქმეს აფერხებს ქართული ლიტერატურის სიმცირე. საჭიროა ნაწილებმა თავიანთი ბიბლიოთეკები დაჩქარებით მოავსონ პარტგანათლებისათვის საჭირო მასალებით ქართულ ენაზე.

პარტსკოლებში და კომკავშირელთა ჯგუფებში ცოდნისა და სწორ-კომუნისტურ აღზრდასთან ერთად ხშირად უნდა ხდებოდეს ჩვენი ყოფა-ცხოვრების ზოგი მოვლენების გარჩევაც.

ფრიად საყურადღებო ამოცანად უნდა დავისახოთ უპარტიო აქტივის ჩაბმა ჩვენი პარტსკოლების მეცადინეობაში. საჭიროა მათი პარტორგანიზაციასთან დაახლოება და აღზრდა-განვითარება. ამით შესაძლებელი გახდება უპარტიო მასის პარტიასთან მჭიდრო დაკავშირება და მასზე პარტიის გავლენის გაძლიერება.

(შემდეგი იქნება)

# მისალმება მე-2 ქართულ დივიზიას.

კავკასიის პირველ მსროლელ დივიზიის მეოთხე პარტკონფერენცია მხურვალედ ესალმება მეორე ქართულ დივიზიას და გამოსთქვამს რწმენას, რომ თქვენი კონფერენციის მიერ წარმოებული მუშაობა საუკეთესო გამომხატველი იქნება წითელი არმიის ინტერნაციონალური შინაარსის, ძმური შემჭიდროებისა და ჩვენი, კავკასიის პირველი მსროლელი დივიზიის კონფერენცია თავის მხრივ იხმარს ყველა ღონისძიებებს ჩვენი კავშირის გასაძლიერებლად წარსული წლის მუშაობის გამოცდილებაზე.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ)!

გაუმარჯოს მე-2 ქართულ დივიზიის რიგების საბრძოლო შემჭიდროებას!

პრეზიდიუმი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მოვაწყვეთ ლენინის კუთხე.

სამხედ. პოლიტ სკოლა.

აქამდე სკოლაში არ გვქონია ლენინის კუთხე. გაზეთებს, ჟურნალებს და სხვას სამკითხველოში ვკითხულობდით, მაგრამ იმდენად სივიწროვე იყო იქ, რომ ხშირად გვიხდებოდა გაზეთების საწოლ ბინებში წაღება.

სულ რამოდენიმე დღეა რაც დავაარსეთ კუთხე. ბინა საკმაოდ სრული და მყუდროა. გარდა ლენინის ბიუსტის და რევოლიუციის სხვა ბელადთა სურათებისა იქვეა გამოფენილი სკოლის კურსანტების შემოქმედებაც, რაც ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

ამ ჟამად ჩვენ სამეცადინო და მუდმივ თავშესაყარ ადგილად გადაიქცა ლენინის კუთხე. მოგვდის ყველა ჟურნალ გაზეთები, მრავალი ბროშურები და საჭირო წიგნები. თავისუფალ საათებში იქ არიან ჩვენი კურსანტები და ეძლევიან თვით განვითარებას.

მომავალში აქვე მოეწყობა საუბრები, შეჯიბრი, კურსანტთა შემოქმედების მასიური განხილვა და სხვა.

ლენინის კუთხე ჩვენი განათლების და განვითარების კერად გადაიქცევა.

სამხკორი გ. ჩიტიაშვილი.

## როგორ ვემზადებით საბჭოთა არჩევნებისათვის.

ს. ქვიშხეთის ცვალებადი წითელ არმიელები.

ამ ერთი კვირის წინად სოფ. ქვიშხეთში შესდგა ცვალებად წითელ არმიელების გაერთიანებული კრება. გაკეთებულ იქნა მოხსენება, წითელ არმიელები და საბჭოთა არჩევნების შესახებ. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად. დასასრულ არჩეული იქნა რამოდენიმე ამხანაგები, რომლებიც შეუდგებიან არჩევნებისათვის სამზადის მუშაობას. დადგენილი იქნა აგრეთვე მოეწყოს ადგილობრივ ახკომკავშირთან გაერთიანებული მუშაობა. დასასრულ კრებაზე გამოტანილ იქნა და დგენილეა გაზ. „წითელ არმიელის" გამოწერის შესახებ, რასაც კმაყოფილებით შეხვდენ სოფლელები.

სამხკორი ისარი.

## წინ მივიწევთ.

1-ლი ლეგ. ბატარეია.

ჩვენი ბატარეია ძლიერ გამოცოცხლდა ამ უკანასკნელ ხანებში. გვაქვს სხვადასხვა წრეები დაარსებული, რომლებშიდაც ყოველ თავისუფალ საათებში მიმდინარეობს მეცადინეობა. ბატარეიაში გამოდის აგრეთვე ორკვირეული კედლის გაზეთი, რომელშიდაც უმთავრესად წითელ არმიელები თანამშრომლობენ.

ახლად გამოწვეული წითელ-არმიელებიც ენერგიულად ეკიდებიან, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ სწავლების საქმეს. ჯერ-ჯერობით რაც გაიარეს ყველაფერი კარგად აქვთ შეთვისებული. ისინი თითქმის აღარც კი ჩამოუვარდებიან ძველ წითელ არმიელებს.

სამხკორი ჯალისხევილი.

## მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა.

1-ლი არტლეგ. 4 ხე საგაუბიცო ბატარეია.

1903 წელში დაბადებული წითელ-არმიელების ყაზარმაში მოსვლისთანავე მოხდა მათი აღრიცხვა, გამოირკვა წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა. ადმინისტრაცია თავიდანვე დიდი ყურადღებით მოეკიდა ამ საქმეს და ისინი უზრუნველყოფილი იქნენ ყოველგვარი სასწავლო ნივთებით. მეცადინეობამ ჩქარა გამოიღო სასურველი შედეგი. ახალგაზრდა წითელ არმიელები იშვიათი გულმოდგინეობით შეუდგენ მეცადინეობას. შეთვისების უნარიანობა დამაკმაყოფილებელი იყო.

ამ ჟამად, იმდენად აქვთ შესწავლილი წერა-კითხვა, რომ კედლის გაზეთშიც კი თანამშრომლობენ.

აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება: ლეგიონის უფროსი მასწავლებელი იშვიათად მოდის ბატარეაში. თავი მიანება კონსპექტების მოწოდებასაც, რის გამო თვითონ ჩვენ გვიხდება მისი დამუშავება და ჯგუფებთან ასე მეცადინეობა.

იმედია შემდეგში მაინც უკუაგდებს ეს ამხანაგი თავის გულგრილობას.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## გლოვისა და „სისხლიანი კვირის" დღეები ჩვენთან.

ცალკე ცხენოსანი ესკადრონი.

22 იანვარს ესკადრონში შესდგა, კოლოფის ქარხნის მუშებთან ერთად გაერთიანებული კრება, ლენინის გარდაცვალების და ცხრა იანვრის ამბების აღსანიშნავად.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდენ, როგორც წითელ არმიელები, ისე კოლოფის ქარხნის მუშები და დაახასიათეს სისხლიანი კვირის ამბები და ლენინის როლი საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

წაკითხული იქნა აგრეთვე მისი ანდერძები, რომელთან ერთად მთელმა კრებამ ფიცი დასდო შეეცადონ ცხოვრებაში მის სისწორით გატარებას.

კრების შემდეგ კი გაიმართა საღამო-წარმოდგენა, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

წ. არმ. ვათიაშვილი.

### ჩვენც უნდა მოგვეცეს ფორმა.

ცხენ. ლეგიონი.

თითეული ნაწილის წითელ-არმიელი ვალდებულია ატაროს მისი ნაწილის ფორმა. ლეგიონში ამ ვალდებულობის გარეშეა დატოვებული უწყობრო გუნდი. ჩვენ ფორმის ტანსაცმელი არ დაგვირიგეს, იმ დროს, როდესაც სხვას ყველას აქვს ლეგიონში ასეთები.

ქალაქში ვერ გავსულვართ შიშით. კომენდანტმა რომ შეგვნიშნოს დაგვიჭერს. რა დავაშავეთ ჩვენ? დროა ჩვენც დაგვირიგდეს ფორმის ტანსაცმელი. რა გასაჭირი შეიქნა მწვანე ნაჭრებისა და ღერბების დარიგება?

წ. არმ. მართაშვილი.

# სამხედრო საქმე.

## როგორ უნდა სწარმოებდეს ძიება

ძიება არმიის თვალი და ყურია.

მსროლელი ასეული აწარმოებს ძიებას ცალკე ათეულებით. ათეულის უფროსს თვითონ მიჰყავს მძიებელი ჯგუფი. საჭიროებისდამიხედვით ის აგზავნის წინ, მარჯვნივ და მარცხნივ წყვილ მზვერავს. მზვერავები არ უნდა მოშორდენ ბირთვს 200 300 მეტრს ზევით; წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირი გაწყდება და ძიება დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

ათეულის დანარჩენ მსროლელთაგან მეთაური ადგენს ძიების ბირთვს, მიუძღვება მას და სცდილობს შეუმჩნევი დარჩეს მტრის მიერ. მძიებელ მზვერავთა ბირთვი უნდა მოძრაობდეს გაშლილად (არა ჯგუფად) და მასთან ერთი სათვალთვალო ზღვარიდან მეორემდი ღია ადგილები უნდა გაიარონ მოკლე გადარბენებით, ხოლო ხშირად ცოცვით, როგორც ჯგუფურად, ისე სათითაოდ. წინ და გვერდებზე გაშვებულ მზვერავთა ამოცანაა თვალყური ადევნონ და დაათვალიერონ ყველა ადგილობრივი საგნები და რასაც შეამჩნევენ, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ ათეულის ხელმძღვანელს. მზვერავები რაც შეიძლება ფარულად მოძრაობენ საფარიდან საფარამდი. მზვერავებმა არ უნდა იმოძრაონ გზით, ვინაიდან მტერი მეტწილად თვალყურს ადევნებს გზებს. თუ რომ წინ შეეჩეხა მტრის მზვერავებს, ათეულის უფროსი სცდილობს ხელში ჩაიგდოს ისინი თოფის გაუსროლელად. თუ ეს არ მოეწყო და მასთან მზვერავთა ამოცანა აუსრულებელია (მაგალითად: მზვერავები უნდა შეპარულიყვნენ მტრის დაცვის ზოლში), მძიებელი განყოფილება სცდილობს შემოუაროს მტრის მზვერავებს ფრთებზე და შემუსროს ისინი ჯვარედინა ცეცხლით, ხოლო, სადაც შესაძლებელია ხიშტით.

კარგია მძიებელ ათეულს თუ თან ექნება ხელის ტყვიამფრქვევი, რომელიც საჭირო დროს დიდ სარგებლობას მოუტანს.

თუ მტრის მძიებელთა ჯგუფი ძლიერია, მძიებელი განყოფილებამ ნელა უნდა დაიხიოს და ეცადოს გამოიყენოს რაიმე საგანი ადგილზე, რათა მოეფაროს მას და დაამარცხოს მოპირდაპირე. არავითარ შემთხვევაში მოპირდაპირეს არ უნდა შთამოსროს თავი. როცა თავისი ნაწილები დაუახლოვდება, მზვერავები უნდა შეუერთდენ მათ, ან და შეიკრიბონ დანიშნულ წერტზე.

ი. ბ.

# ქართული სამხედრო პოლიტსკოლა სანადიროდ.

(დასასრული)

გადავწყვიტეთ გეგმის შედგენის შემდეგ მოგვეხდინა ერთი პატარა სანიმუშო ნადირობა—„ერთი გაი". გუნდი გაიყო ორ ჯგუფათ.

პირველი ნაწილის არის „გაი", ან შარი, სადაც მონადირეთა ძალლები რჩება თავის ინსტრუქტორებით, ენიშნებათ უფროსები, რომლებსაც ეჩვენებათ მიმართულება ყიბლანით. უფროსების მოვალეობაა აუხსნას ამოცანა „გაის" და ნიშნის შემდეგ დაიწყოს მოქმედება. მათ დანიშნულებას შეადგენს მორეკოს ნადირი ნომრებთან. მეორე ნაწილი კი შეადგენს ნომრებს, რომლებიც სდგებიან „გაიდან" ხანდახან ორი ვერსის მოშორებით და ერთი მეორეზე 10—15 ნაბიჯზე. ეს ნომრები სდგანან გაუნძრევლად, უსულო საგნებივით, რომლებსაც შაშხანა უკვე მხარზე აქვთ მაგრათ მიბჯენილი და ამ მდგომარეობაში რჩებიან თითქმის ნახევარი—ერთი საათის განმავლობაში, ე. ი. სანამ გაი არ მოუახლოვდება ნომერს; მათ მოვალეობას შეადგენს—მოკლას ყოველი ნადირი, რაც კი მოუახლოვდება მის ნომერს, მაგრამ სასტიკათ ეკრძალება ხაზზე სროლა, სადაც ნომრები სდგანან.

გაისმა ნიშანი და გაჩაღდა ბრძოლა. აგერ გაქანებული ტახი ეწვია კურსანტ ესებუას, რომელმაც იქვე გააგორა. ისმის სროლა მარჯვნით და მარცხნით. მოგროვების ნიშანზე ვკრიბებით ყველა დანიშნულ ადგილზე. აი მოათრიეს კიდევ ორი ტახი, კურსანტ ჭელიძისა და აბზიანიძის მიერ მოკლული.

პირველი ნადირობა გათავდა და ჩვენი ნანადირევით ზურგზე გავემართეთ ბინისაკენ. ვახშმის შემდეგ კურსანტები კიდევ დიდხანს ბაასობდენ ნადირობის შთაბეჭდილების ქვეშ. ჩვენი ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, როგორც ბრძოლის ველზე, ვინაიდან ჩვენი გეგმა იყო ნადირობის ჩატარება სასწავლო-სამხედრო სასპორტო მიზნით.

5—6—7 ამა თვეს ასეთ მშრალ ადგილებზე სწარმოებდა ნადირობა, ხოლო 8 რიცხვი გამოცხადებული იქნა დასვენების დღეთ. ნასადილევს გაიმართა ფუტბოლის თამაში სოფლელებთან ერთად, რომლებთანაც ერთად იქნა გადაღებული რამოდენიმე სურათი. სოფლელები მადლობის კილოთი გაიძახოდნენ: „გურჯი, გურჯი ასკერ". საერთოდ ჩვენმა მონადირეთა გუნდმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა



ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სოფლელები აცილებენ ქართულ სამხედრო სკოლის კურსანტებს ნადირობის დასრულების შემდეგ.

მათზე. ამავე რიცხვში ორი მეთაური და ხუთი კურსანტი იქნენ გაგზავნილი მომავალი საომარი ნადირობის ადგილების დასაგეგმავად. თავის ამოცანის ასრულების დროს მათ დახოცეს შვიდი ტახი. მათ დიდი სიძნელენი გადაელახათ ჭაობებში. ამ დღის ნადირობის დროს წარჩინებით მოქმედებდენ კიკნაძე გიორგი, ქსენაფონტოვი ჟორა, გიორგაძე, ქაჯაია, ოსიპაიშვილი, ხუხუა და სხვანი.

9 იანვარს მონადირეთა გუნდი მიემგზავრება ახალ სანადირო ადგილას, რომელიც დაშორებულია სადგომი ადგილიდან 9 ვერსით. გზაში ბევრი ტბები და პატარა ჭაობები გავიარეთ და როგორც იქნა დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ დანიშნულ ადგილას. აქ მონადირეთა გუნდი გაიყო სამ ნაწილათ, თითეულს მიეცა ცალ-ცალკე ამოცანა. აქ ნადირობა გაუვალი ჭაობის და ჩალამკალამის („კამიში") გამო მეტად ძნელი შეიქნა. ხშირად ვიძირებოდით წელამდის ტლაპოში და შემდეგ ამოვძვრებოდით ჩალამ კალამის საშუალებით, რომელსაც ვაგებდით ტლაპოზე და ასე მივიწევდით წინ. ამაზე კიდევ ძნელი შეიქნა ნანადირევის (ტახების) გამოტანა დანიშნულ ადგილას, მაგრამ კურსანტების თავდადებული მუშაობით ნანადირევი არ დაგვრჩენია ჭაობიდან გამოუტანელი. ამ რიგათ გრძელდება ჩვენი ნადირობა 8 დღე, ე. ი. 12 იანვრამდე. სულ მოკლულ იქნა 30 ტახი, 1—არწივი, ორი—მგელი, 4—კურდღელი, 6—იხვი. უნდა ითქვას, რომ ნადირობა საუკეთესო წარმატებით დასრულდა.

12 იანვარს გუნდი ბრუნდება ქ. ტფილისში.

ასეთი ხასიათის ნადირობას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო მსახურის გაწაფვაში. აქ ის პრაქტიკულად ეცდის საომარ დროის მომენტებს, როგორიცაა:

1) მომზადება სანადიროთ და ნაწილიდან გამგზავრება სხვა ადგილას, როგორც სალაშქრო დროს; რონოდის სამოსწავლო დატვირთვა;

2) სალაშქრო მოძრაობა და სამხედრო მსახურის მოძრაობაში დაწაფვა;

3) ძიება, ტყის აგეგმვა, გაგება ყიბლანის, რუქის და ადგილ-მდებარეობის საშუალებით და ტყეში მოქმედება;

4) სროლის საომარი საქმის წარმოება და ყოველმხრივ მათში დაწაფვა;

5) დახელოვნება კავშირისა და საინჟინრო საქმეში;

6) სხვა და სხვა ბუნებრივ ადგილმდებარეობასთან ბრძოლა;

7) ღამით მოძრაობა და სხვა;

8) მინდვრათ ცხოვრება, საჭმლის მზადება, ადგილობრივ მცხოვრებლებთან კავშირის გაბმა, მათი ჭირ-ვარამის გაგება და აგრეთვე კულტურული და ეკონომიური დახმარება.

ჰ. ქუთელია.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### მეორე საფეხურის პარტსკოლა.

2-რე ლეგიონი.

ლეგიონში კარგა ხანია, რაც დაარსებულია მეორე საფეხურის პარტსკოლა. სკოლაში მეცადინეობენ უმთავრესად უფ-პოლიტშემადგენლობა და სხვა ამხანაგებიც ვისაც საამისო დრო რჩებათ. ხელმძღვანელად ითვლება ლეგიონის სამხკომი ამხ. ელიაშვილი.

ამხანაგები ძლიერ მონდომებულად ხვდებიან მეცადინეობას, მაგრამ სამწუხაროდ ყველა საკითხები ვერ შუქდება სკოლაში როგორც საჭიროა. არ კმარა მარტო ხელმძღვანელისა და მომხსენებლის აზრი. საკითხი მაშინ უფრო ნათელი ხდება ყველასათვის, როდესაც თვით მსმენელთა მასა ღებულობს მის გარჩევაში აქტიურ მონაწილეობას, როდესაც მომხსენებელს შეკითხვების მიცემით საშვალება ეძლევა უფრო ფართოდ და ყოველმხრივად შეეხოს საკითხს.

საჭიროა მსმენელებს შექონდეთ შეკითხვები და კამათშიც ღებულობდენ მონაწილეობას.

ხელმძღვანელი ერთგულად მიუძღვება საქმეს და თუ ჩვენც დავეხმარებით, აუცილებლად კარგი შედეგების წინაშე დავდგებით. ეს ყველა ამხანაგებმა კარგად უნდა იცოდენ.

სამხკორი ვ. ლ.

## სამხ. მეთ. სკოლის 3-ME უჯრედი.

23 იანვარს შესდგა სკოლის ახკომკავშირის მესამე უჯრედის კრება, რომელზედაც გააკეთეს მოხსენება და განმარტებული იქნა 14-ტე პარტყრილობის რეზოლიუციე'ი კომკავშირის შესახებ. მოხსენების გარშემო გაიმართა ცხარე კამათი და იყო მრავალი შეკითხვები.

კრებაზე წამოიჭრა აგრეთვე მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მიმდინარე საკითხები. ეს შეეხებოდა კავშირის დისციპლინას. როგორც გამოირკვა ყოფილა შემთხვევები, რომ ზოგიერთი ამხანაგები იგვიანებენ კრებებზე. ამას გარდა კრებების დასრულების შემდეგ ზოგიერთს დაუგვიანებიათ ასეულში მისვლა და სხვა.

ყველა ამის წინააღმდეგ კრებამ სასტიკად გაილაშქრა და დაავალა თავის თითეულ წევრს მტკიცედ დაიცვან დისციპლინა, როგორც კომ-კავშირისაგან მიღებულ დავალებების შესრულებაში ისე სამხედრო საქმეში.

ახკორი რ. ქორიძე.

## სამხკორის კუთხე

### რა და რა განყოფილებები უნდა იყოს კედლის გაზეთში.

ნაწილების კედლის გაზეთებში უნდა იყოს რამოდენიმე განყოფილება, რომელთაგან სავალდებულოა შემდეგი განყოფილებები; ა) სამხედრო და სამხედრო პოლიტიკური სწავლება და წითელი არმიელის სამსახური, ბ) პარტიისა და კომკავშირის ცხოვრება, გ) ყოფა-ცხოვრება და დ) წითელი არმია—ქალაქი—სოფელი.

ყველა ეს განყოფილებები ეწყობა შემდეგ საფუძველზე: „სამხედრო და სამხედრო პოლიტიკური და წითელი არმიელის სამსახურის" განყოფილება აშუქებს გაზეთში ნაწილის ცხოვრებას და სწავლების ძირითად საკითხებს, რომლებიც სდგას ნაწილის წინაშე.

აქვე ჯამი უკეთდება მიღწევებს, გამომუშავდება მომავალი მუშაობის გეგმა და აღინიშნება ნაწილში გატარებულ სწავლებისა და წითელი არმიელის სამსახურის მიღწევები და ნაკლი. ამ განყოფილებაშივე საჭირო იქნება ერთის წახალისება, მეორეზე დახმარება და ჩამორჩენილების შეგნებულად დაგმობა.

„პარტიისა და კომკავშირის ცხოვრების" განყოფილება აშუქებს პარტიისა და კომკავშირის მუშაობას, ყოველმხრივ ხელს უწყობს მათ ავტორიტეტის განმტკიცებას და თითეული წევრის საქმიანობას წითელ-არმიელთა მასაში.

ამასთანავე ერთად ეს განყოფილება აშუქებს ყველა იმ სწავლებას და დავალებას, რომელსაც მათ აძლევს წითელი არმიის უმაღლესი პარტიული და პოლიტიკური ორგანიზაციები.

„ყოფა-ცხოვრების" განყოფილება შეიცავს წითელ ყაზარმაში მყოფ წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებას, სამსახურის დროს, სამსახურისა და ყაზარმის გარეშე. ამ განყოფილების საშუალებით კედლის გაზეთი ეხმარება ნაწილის უფ-პოლიტ-შემადგენლობას და პარტიას ნაწილის პოლიტიკურ—მორალურ მდგომარეობის მოგვარება მოწესრიგებაში.

განყოფილება „არმია—ქალაქი—სოფელი" ხელს უწყობს მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას, აშუქებს ნაწილის კავშირს მუშებთან და გლეხებთან.

აქ აღნიშნულ განყოფილებებს გარდა სარედაქციო კოლეგიებს უფლება აქვთ შემოიღონ გაზეთში ზედმეტი განყოფილებებიც, რომელთა სახელწოდება უნდა გამონახონ თვით სარედაქციო კოლეგიებმა.

მი.

## გამოცდები წარმატებით დამთავრდა

6 სე ლეგ. 6-სე ასეულის წერტი.

ჩვენს წერტზე 15 იანვრიდან დაიწყო წვევამდელების გამოცდები და გაგრძელდა 2 დღე. საერთოდ წვევამდელთა მომზადება საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იყო. გამოცდებმა ნათლად გამოაშკარავა ეს. თითქმის ყველა ამხანაგები მომზადებულად იქნენ ცნობილი როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურად.

გამოცდების შემდეგ ადგილობრივ მუშათა კლუბში მოეწყო გამოსამშვიდობებელი საღამო. დაიდგა წარმოდგენა. გადაღებული იქნა სურათი მეთაურებსა და საგამოცდო კომისიასთან ერთად.

დასასრულ წერტის უფროსმა გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა წვევამდელებს და მოუწოდა მათ კიდევ უფრო გაეღრმავებინათ აქ მიღებული ცოდნა სოფლად და სრულიად მომზადებული შეხვედროდენ ჯარში მომავალ გაწვევას.

სამხკორი პ. ლობილაძე.

## გავავრცელებთ სოფლად ჩვენს გაზეთს.

6-სე ლეგ. 5-თე ას ულის წერტი.

წერტზე რამოდენიმე დღეა რაც დამთავრდა გამოცდები. თავიდანვე დიდი ხალისით ეკიდებოდენ მუშაობას წვევამდელები და ეს ნათლად დამტკიცდა გამოცდებზედაც.

საგამოცდო კომისია ძლიერ კმაყოფილი დარჩა იმ მიღწევებით, რომელიც ჩვენ მივიღეთ წვევამდელთა მომზადებიდან. სულ ჩააბარეს გამოცდა 151 კაცმა.

მეორე დღეს გაიმართა გამოსამშვიდობებელი საღამო, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ასეულის თავი. მან დაწვრილებით აუხსნა ამხანაგებს თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოონ სოფლებში. ყველამ აღუთქვა, რომ მიცემულ დავალებების შესასრულებლად არ დაშურავენ თავიანთ ენერგიას. წვევამდელებმა იქვე დაადგინეს გამოიწერონ გაზ. „წითელი არმიელი" და ხელი შეუწყონ სოფლად მისი გავრცელების საქმესაც.

სამხკორი მეფარიშვილი.

## ბიბლიოგრაფია.

### ძრებული წვევამდელთა შორის პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობისა. ტ.

(„საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკის და II ქ. დივ. პოლიტგანი. 1925 წ. გვ. 94.")

ქართული წიგნის ბაზარი, ყოველგვარ მეთოდიურ-სახელმძღვანელო წიგნებით ერთობ ღარიბია.

ეს განსაკუთრებით წ. არმიის რიგებში მომუშავე ამხანაგებისთვისაა საგრძნობი, რადგან დიდი უმრავლესობა მათ შორის რუსული ენის უცოდინარია და ამრიგათ, ის მდიდარი ლიტერატურა ამ დარგიდან, რომელიც რუსულ ენაზე გამოდის—ნაწილობრივ მაინც მიუწდომელია.

დასახელებული წიგნი მეტათ მდიდარ მასალას იძლევა ამ დარგში და მისი გამოცემით ჩვენს საერთო მუშაობას, პოლიტგანყოფილებამ დიდი დახმარება გაუწია...

აქ გაშუქებულია როგორც სასკოლო (ნაწილობრივ) ისე სკოლის გარეშე განათლების მუშაობის მეთოდიური მხარეები წვევამდელთა შორის მუშაობის დროს და სხვა... წიგნს დართული აქვს საჭირო ლიტერატურის სია და სხვა და სხვა ბრძანება—ინსტრუქციები.

ყოველმა პოლიტ-მომუშავემ უნდა შეიძინოს ეს წიგნი და გულდასმით შეისწავლოს, რადგან იგი მეტად ბევრ მასალას გაეცნობა აქ, რომელიც გამოადგება თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მართალია, ყოველი ტიპის ბიბლიოთეკა-სამკითხველოებმა საკმაო რაოდენობით მიიღო „ზემოდასახელებული წიგნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა კარგი იქნება ჩვენი გამომცემლები მოსწყდებოდენ მკვდარ წერტილს და თავიანთ გამოცემებს ბაზარზედაც გამოიტანდენ გასაყიდათ—თუგინდ ისე, როგორც ამას რუსეთის სამხედრო სახელმწიფო გამომცემლობა შვება. ეს ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მოსახლეობის გასამხედროებას და მეორეთ კი, გამომცემლობის რესურსებს ოდნავ მაინც გააუმჯობესებს.

საერთოდ, ვიმეორებთ, წიგნი მეტათ შინაარსიანი, მისაღები და საჭიროა. გამოცემულია ძალიან ლამაზათ, კარგ ქაღალდზე და გარკვეული შრიფტით...

დ. შავგულიძე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ს. გოშაძეს.** გერგებათ ორი კვირის სალიკვიდაციო. თუ სახელოსნოს პატრონი არ გაკმაყოფილებთ, მიმართედ შრომის სასამართლოს.

**წ. ა—ნს.** დადებულ ტარების ვადის შემდეგ ტანისამოსი თქვენს საკუთრებას შეადგენს.

**აპარელს.** შეგვატყობინეთ რომელ ნაწილში მსახურებთ და როდის ხართ გაწვეული.

**ქელ—იანს..** მოხალისეთ სამსახური ორ წელზე ნაკლები არ ჩაგეთვლებათ ნამდვილ სამსახურათ. (სამხ.-საზღვაო კომ. ცირკულიარი № 102—25 წ.)

**ჩაგანავას.** გადასვლა ერთი ნაწილიდან მეორეში არ შეიძლება. თქვენ ცოლშვილმა დახმარებისთვის მიმართოს ადგილობრივ აღმასკომს და გლეხკომს.

**ად—ძეს.** ახალი ტანსაცმელი მოგეცემათ მაშინ, როცა ძველს გაუთავდება ტარების ვადა.

**უმც. მეთაურს.** დეკემბრის მომატება თქვენზე არ ვრცელდება.

**№—ს.** გვარის გამოსაცვლელად საჭიროა მიმართოდ ადგილობრივ „მაჩ"-ს განცხადებით.

**წ. არმიელს.** მოკლე ვადიანი შვებულება მოგეცემათ განსაკუთრებულ მიზეზების გამო, რაც უნდა იყოს შემოწმებული აღმასკომის მიერ.

**ჰალისხეველს.** კომუნალური ფული ეძლევათ მეთაურთა შემადგენლობას მე-7 ხარისხიდან ზევით. (ბრძანება № 1166 25 წ.)

**№ 5.** მუშფაკში შესვლა დაგვიანებულია. ცნობებისთვის მიმართედ მუშფაკის ადმინისტრაციას, ბეჟუთოვის ქ. № 20.

**ბრეგაძეს.** პარტსკოლაში შესვლის შესახებ მიმართედ თქვენს სამხკომს.

**ვ. ლ.** თუ ადგილობრივი ხელისუფლება არ ასრულებს უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს წ. ა. ოჯახის მიმართ, მიმართედ სამხედრო პროკურორს.

**რევიას.** წვევამდელებთან მეცადინეობის გამო გასამრჯელო მოგეცემათ თუ არა, ჯერ ამის შესახებ ცნობა არ არის მიღებული, განხილვის პროცესშია.

**გურევს.** კომპენსაცია შვებულებით უსარგებლობისთვის მოსპობილია.

**გოგავას.** როგორც შემოდგომაზე გაწვეული, უვადო შვებულებაში წახვალთ 1926 წ. შემოდგომაზე.

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. სქვინჩას** (1-ლი ლეგ.) **ბედითკრულს** (ჩ-თე ლეგ). თქვენი კორესპონდენციებ: „ლორები ჩვენს ლეგიონში" და „ქურა უნდა შეკეთდეს" გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. პ. 6—ლი** (ცხენ. ლეგ.) თქვენი წერილი სენაკის მაზრის შესახებ გადაეგზავნა გაზ. „ახალ სოფლის" რედაქციას.

**ამხ. ს. მირზაიანცს** (2-რე ლეგიონი) **ქურციას, ჩვენს, და გ—ს**, თქვენი კორესპონდენციები „ჩვენი კავშირი, მეთაურთა სკოლაზე, სადღესასწაულო საღამოზე და სხვაზე არ დაიბეჭდება. ასეთები უკვე იყო ჩვენს გაზეთში.

## განცხადება

კვირას 31 იანვარს დილის 10 საათზე ვაკეში შესდგება სროლაში ტფილისის მსროლელთა შეჯიბრი პირველობისათვის.

სროლაში მონაწილეობენ ის პირები, რომლებმაც წინასწარ გამოცდებში მიიღეს მონაწილეობა.

ქალაქის კომენდანტი აბაშიძე.


## რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.

3 თვით — 1 მ. 35 კ.

6 თვით — 2 მ. 50 კ.

12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.

3 თვით — 1 მ. 10 კ.

6 თვით — 2 მ.

12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ხიმონგულოვი